


საგზაო

საერთოული გაზეთი შაბათი 10 ნოემბერი 2005 №207 (2530)

ფასი 50 თეთრი



მასხოვა
უხეუი
ფრანგული
იუმორის
აგვანო



ვერ
ვიზვიადთ
იქნებ
დღეს
ვიდავითოთ



საქართველო
ფინეთის
იგაფაა
ბორდონ
პერბერტი
მხოლოდ
ლუქსემბურგს
ხედავს

ალექსანდრე იაშვილი ალპარაკდა ფრანგურების კაპიტნის გერსია მფრთხელები ასე არ იქცევიან



...თორმეტი წელია, პროფესიულ ცუ-
ნდებში ვთამაშობ და პირველად შევე-
სნარი, მწვრთნელმა ფეხბურთელს
ათი დღით ადრე გამოუცხადოს, არც
პირველ თამაშში დაგაყენებ და არც
მეორეში...

...ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ
კონფლიქტური არ ვარ და კლუბში თუ
ნაკრებში დისციპლინას არ ვარღვევ...

...მწვრთნელის ასეთი მიდგომა არ-
სად მინახავს. უკრაინასთან არ დაგა-
ყენებ და რაც უნდა მოხდეს, დანიას-
თანაც სკამზე იჯდები. პატარა პე-
ში ხომ არ ვარ, ასეთი რამე მოვიტო-
ნო?!

...ერთია, როცა შენზე ძლიერი თამ-
აშობს და ჯანდაბას, იტყვი, რომ ძირ-
ითადისთვის ჯერ მომნიჭებული არ
ხარ; მეორეა, როცა ნაკრების ძირითა-
დში მოხვედრას იმსახურებ, ამას თვა-
ლნათლივ ხედავ და უსამართლოდ იჩ-
ავრები...

...ჩემთვის დიდი შვევა იყო, რომ ნა-
კრების ფეხბურთელებმა მომიხმინეს
და ჩემს ვადანყვეტილებასაც გავებ-
ით მოეკიდნენ...

...ის ფორმა და მიდგომა, რაც დარს-
ადისგან დავინახე, არანაირად არ ჯდ-
ება სამწვრთნელო ეთიკაში...

...ვიცი, ბევრი იფიქრებს, დანიას-
თან სამარცხვინო მარცხის შემდეგ
ლაპარაკის საბაბი მიეცაო, მაგრამ
მერწმუნეთ, ასე არაა. ზოგი იტყვის,
თავში აუვარდა რალაც-რალაცები და
ნაკრებიდან იმიტომ წავიდაო — ძა-
ლიან არ მინდა, ხალხმა ასე იფიქ-
როს...

ბადრი ქატილაშვილი

სკანდალური ღიღერი

სოხუმა სიონი მოთამაშეთა
მოწყობის მცდელობები დაადანაშაულა



ბადრი ქატილაშვილი

სიონმა შეუტია და გაიმარჯვა, გოლა ჟორჯოლიანმა (მარცხნივ) კი ბოლსივლებს იჭით შეუტია

საქართველოს 17 რეაპრონაბი

უმაღლესი ლიგა

5 ტურში

საქართველოს პროფესიონალი ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 9 სექტემბერი. 16 საათი. შპს "სპორტი". 1 700 (ტელეფონი 2 000)

სოსელი 1:2 სიონი

01 დელი (10), 11 ჩიქოძე (57), 12 ზეგინაძე (70)

<p>სოსელი, ა. ლაბაძე, უგრეხელიძე, წერეთელი, ზ. ჯუღაძე, გ. ჩხაიძე, ფანიანი, ლევან სილაგაძე, ჩიქოძე, ვაჭაძე (გაგაუა 82), გადელიანი, რუსთა, სათადარიგო: სეფიანიშვილი, ქვიციანი, ლაშა სილაგაძე, ი. ქანჭულაძე, ფარჯანი, მამფორია</p> <p>863605050, ვანა ჟორჯიანი</p>	<p>სიონი, პაპიაშვილი, კობახიძე (კარბიანიძე 46), სანთო ზეგინაძე, რაქიაშვილი (ქარბაძე 65), დოლიძე ხმალიძე, კვინიტაძე (ზაგრაძე 55), ბოლქვაძე, დელი, მაკუჩაძე, სათადარიგო: მანანაძე ჩანუა, აგლაბანი, ტატიშვილი</p> <p>863605050, ზენა ქასრაშვილი</p>
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

მარცხენა: რაქიაშვილი (40), ჯუღაძე (59), გადელიანი (72), სილაგაძე (80), ქარბაძე (80), დელი (70)

მარჯვენა: ჩიქოძე (50)

მწვანე: გ. გადელიანი (თბილისი), ი. აფციაშვილი (დუშეთი), გ. დვარაშვილი (ქუთაისი), ა. ჟორჯიანი (იზნ)

055306070, გ. კარბაძე

სოსელი არ ვიცივით მოსალოდნელი სკანდალი ცაცხელიანი თამაშის შემდეგ

დავით თამარაძე

— თამაშის წინა დღეს „სიონის“ ფეხბურთელმა ჩვენს ფეხბურთელს დაურეკა და უთხრა, თამაში მოგვეციოთ და ამაში ფულიც შესთავაზა. ისიც უთხრა, თქვენს გუნდში კიდევ ოთხი-ხუთი ფეხბურთელი მონახე, რომლებიც „დაგვიწვებიან“. ჯერჯერობით ვერ დავადგინე, რომელმა ფეხბურთელმა დაურეკა ჩვენს მოთამაშეს, მაგრამ ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ სოსელის „დინამო“ არ იყიდება — მოგვახსენა სოსელიანთა თავკაცმა გორა ჟორჯიანი და მატჩის შემდეგ კრესკონფერენცია დატოვა.

იქვე მყოფმა „სიონის“ დამრიგებელმა ხეჩია ქასრაშვილმა კი დასძინა: „კარგა ხანია, ვმწვრთნელობ და თუ ვინმე ასეთ რამეებს დამაბრალებს, შხად ვარ, პასუხი ვაგო. ჟორჯიანი თამაშის წინ მეც მიუთხრა, თქვენმა ფეხბურთელმა ჩემსას დაურეკა და ესა და ეს შესთავაზაო. არ ვიცი, ასეთ ინფორმაციას საიდან ფლობს ჟორჯიანი“.


ერთი სიტყვით, ჟორჯიანი სკანდალური განცხადება გააკეთა და იმედია, პროფლიგა და ფეხბურთის ფედერაცია ამ ამბავს ძირფესვიანად გამოიკვლევენ.

მატჩი კი მართლაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. „სიონი“ კვლავაც მიუწვდომელია მდევრებისთვის, ხოლო ჯაბა დვალი ბომბარდირთა დავაში უკვე ორი გოლით უსწრებს უახლოეს კონკურენტებს.

თითქოს იგუმანესო და „შეარდენზე“ ორიათასამდე კაცი მივიდა ლიდერისა და აფხაზეთის გუნდის შეხვედრაზე ასეთი ცეცხლიანი, შეუპოვარი და მძაფრი ბრძოლა ბევრი როდია ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში.

ორივე გუნდს თავისი უპირატესობა ჰქონდა — „სიონი“ უკეთაა მომზადებული და სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აქვს, „სოსელს“ კი ფული უჭირს, მისი მოთამაშეები სრულფასოვნად არ არიან მომზადებული, მაგრამ სოსელიანებს ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ.

არ გეჯობრებით, გეკითხებით ფეხბურთის არითმეტიკა: აღვივების გადაწყვეტილებით უმღებო იცვლება



ვი ფეხბურთელი იყო და არა ბუნდესლანდელი. ერთდღით გამოიწვიეს ვახაჩეთთან ნათამაშები ბოლო 35 წუთი გახლდათ, როცა დარსაძემ ტაქტიკა გადააწყობა ლევანს შეტევაში ჩართვის მეტი საშუალება მისცა, ნაკრებმაც ორივე გოლი ამის შემდეგ გაიტანა.

ნახევარდაცვა

ხუთი ნახევარმცველით თამაში ნიშნავს იმას, რომ მოედნის ცენტრი იოლად არ უნდა დათმო, მით უმეტეს, მაშინ, როცა ამ ხუთიდან ორი საყრდენი ნახევარმცველია, მაგრამ... იგივეს გამოეხატა მოგვიწვეს — ჩვენ ვიკლებთ ისეთ ფუფუნებას, როგორც კობიაშვილი, ამ დროს კი ვათამაშებთ გოგონას გოგუნას, რომელმაც რუსულ „ნიმ-კიში“ ბოლოს როდის ითამაშა, ვკონუნებთ, თავდაცვ არ ახსოვს. ოდნავ უმჯობესი სიტუაციაა ჯაბა კანკავასკენ — სათამაშო პრაქტიკით განებივრებული მანკცამანკც არც ის არის.

1:6 დანაშთან — ასეთი მწარე მარცხი საქართველოს ნაკრებს თხუთმეტწლიანი არსებობის მანძილზე არც ერთი რანგის მატჩში არ უწვნივია. ეს იყო წაგება, რომელიც ძალიან მტკივნეულად მოხვდა გულზე ქართული ფეხბურთის ნებისმიერ ქომავს. ეს გამოდგა თამაში, რომელმაც ერთხელაც გამოაჩინა, რა ბედენაცაა საქართველოს ნაკრები...

დამღლელი და მომბეზრებელი წუწუნით თქვენი შეწუხება აღარც გვიფიქრია, მაგრამ გაიოხ დარსაძისა და საერთოდ ახალი ფედერაციის ვითომ ახალ ნაკრებზე რამდენიმე შენიშვნა კი გვაქვს. ერთხელაც გეტყვი, რომ ეს შენიშვნები არ არის ყოფაცხოვრებისეული, ინფრასტრუქტურული, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის პრობლემებზე დაფუძნებული, ეს არის წმინდა საფეხბურთო საკითხები, რომლებმაც ბევრი შეკითხვა გაგვიჩინა და აი, რატომ: დარსაძემ უკვე მესამე მატჩი მოილია ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და ყველაზე მეტად უცნაური ტაქტიკური სახელებით დაგვამხსოვრა თავი. ნამეტანი ოპტიმისტები იტყვიან, რას ერჩით ამ კაცს, სამ თამაშში ოთხი ქულა აიღო, მაგრამ... არ გედავებით, ამ კაცსაც არაფერს ვერჩით და ისიც გვესმის, რომ ერთხელ ყველას წაუგია (1:6-ზე თვალსაც ვხედავთ). უბრალოდ, რამდენიმე კითხვაზე პასუხი გვაინტერესებს და ვფიქრობთ, ამ კითხვებს მართლაც ჩვენ არ შეეუწუხებივართ...

დაცვა

ზოგადად, დარსაძის საყვარელი სქემა 3-5-2-ია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე, მაგრამ ნაკრებში იგი 4-5-1 სისტემით მივიდა. რატომ? იმიტომ, რომ გუნდს დაცვა არ ჰყავს, ამდენ გოლს თავმოყვარე ნაკრები არ უნდა უშვებდესო, განაცხადა დარსაძემ და დაცვის ხაზის რეორგანიზაცია დაიწყო.

ჩვენც მანდა ვართ: გავიხსენოთ ვახაჩეთთან, უკრაინასთან და დანაშთან ჩატარებული სამი თამაში და ვნახოთ, როგორი იყო ამ მატჩებში დაცვა — მარჯვნივ ზურაბ მენთეშაშვილი, შუაში ზურაბ ხიზანიშვილი და კახა კალაძე, მარცხნივ ლევან კობიაშვილი...

ზურაბ მენთეშაშვილის დაცვის მარჯვენა ფრთაზე გამოიჩინა სიურპრიზი იყო მთელი საფეხბურთო საქართველოსთვის. ფეხბურთელი, რომელიც წლების მანძილზე თავის კლუბში გამოამაშებელია, უცებ დაცვაში ჩნდება. ვერ გეტყვი, ეს რისკია თუ ტაქტიკური მიგნება, მაგრამ გამოუვალი სიტუაციიდან თავის დაძვრენის მცდელობა რომ არ არის, ფაქტია, რადგან ნაკრებს ჰყავს ნომინალური მარჯვენა მცველი ლაშა სალუქვაძე, რომელიც რატომღაც სათადარიგოთა სკამიდან ადევნებს სანაკრებო თამაშებს თვალს.

ზურაბ ხიზანიშვილზე არაფერი გვაქვს სათქმელი, მას თანაბრად შეუძლია თამაში მარჯვნივაც და ცენტრშიც, ასე რომ, აქ მეტად აღარ შეგვირდებით.

აი, კახა კალაძე კი... არ გვესმის, რატომ სჯობია მისი ცენტრში თამაში მარცხნივ თამაშს. დავიჯეროთ, „მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი იმდენად უგუნურია, რომ ამას ვერ ამჩნევს? კალაძე „მილანში“ მარცხენა მცველია და დარსაძემდე ნაკრებშიც ამ პოზიციას ამავრებდა. ახლა კი რა გამოდის? კალაძე ცენტრშია და შეცდომებსაც ისე უხშირა, მისგან მსგავსი არ გვახსოვს.

მაგრამ როგორ გინდა, კალაძე ჩვეულ მარცხენა ფლანგზე დააყენო, როცა, ჩვენდა გასაოცრად, იქ ლევან კობიაშვილი თამაშობს — „სარბიელის“ გამოკითხვით 2004-05 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და გერმანული ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი (წინა სეზონის შედეგებით იგი მხროლოდ მიხაელ ბალაკს ჩამორჩა).

ვერავინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ კობიაშვილის გამოყენება ნახევარდაცვაში ნაკლებად სასარგებლოა, ვიდრე დაცვაში. ნუთუ ამა-საც ჭოგობით დანახვა სჭირდება? ფაქტიც სახეზეა — სამივე მატჩში „კობი“ ერთი ჩვეულებრი-

დავით თამარაძე

ალექსანდრე იაშვილი და გაიოზ დარსაძე: რა მოხდა მათ შორის? ბუნებრივია, მხოლოდ იმის თქმა, რომ „იაშკა“...

საქართველო არცთუ მდიდარია (მეტიც, ღარიბია) იაშვილის დონის ფეხბურთელებით, რომ მასზე ხელალებით თქვა უარი. დარსაძემ კი ეს გააკეთა — უკრაინასთან და დანიასთან მატჩების წინ გამოუცხადა, სათადარიგოთა სკამზე იჯდებო.

რამდენად მართალია მწვრთნელი, როცა მოთამაშეს ასეთ რამეს მატჩამდე ათი დღით ადრე ეუბნება, თქვენც განსაჯეთ.

დანიასთან თამაშის შემდეგ ყველაფერს ვიტყვი — გვითხრა მაშინ ალექსანდრე იაშვილმა და ინებეთ დაპირებული ინტერვიუ „ფრაიბურგის“ კაპიტანთან...

ალექსანდრე იაშვილი: მომავალზე ჩემს გულში ჩაიხადონ გაიოზ დარსაძეს ჩემი ბაბაიშუნების უფლებას არ მივცემ



გადანი იაშვილი

— თორმეტი წელია, პროფესიულ გუნდებში ვთამაშობ და პირველად შევესწარი, მწვრთნელმა ფეხბურთელს ათი დღით ადრე გამოუცხადოს, არც პირველ თამაშში დაგაყენებ და არც მეორეშიო. გაიოზ დარსაძეს ამის უფლება არ ჰქონდა და აი, რატომ: ხომ შეიძლება, პირველ მატჩში ნაკრებშიც საშინლად ითამაშოს, შენმა კონკურენტმაც ვერ გაამართლოს, ამ დროს კი მინდორზე შეხვიდე და თამაში მოიგო? ფეხბურთელს რომ იძახებ და ეუბნები, არ მჭირდება, ამით ხომ ყველაფერს უკარგავ?! ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ კონფლიქტური არ ვარ და კლუბში თუ ნაკრებში დისციპლინას არ ვარღვევ. თავის დროზე ალექსანდრე ჩივამაც არ დამაყენა უნგრეთთან ძირითადში, მაგრამ შეცვლაზე შემოვიყვანა, გოლი გავიტანე და მომდევნო თამაშში ლიტვასთან უკვე ძირითადში ვიყავი, სადაც ორი გოლი შევაგდე. იგივე ხდებოდა ალენ ჟირესის დროს — თურქეთში არ მათამაშა, მაგრამ რომ დანიას, სხვა თავდადებულებმა სათანადოდ ვერ გააკეთეს საქმი, ოთხ დღეში ალბანეთთან პირველივე წუთიდან გამიყვანა მინდორზე.

— მწვრთნელის ასეთი მიდგომა არსად მინახავს. უკრაინასთან არ დაგაყენებ და რაც უნდა მოხდეს, დანიასთანაც სკამზე იჯდებო. პატარა ბავშვი ხომ არ ვარ, ასეთი რამე მოვიტყობინო?!
— შენ ჰკითხე დარსაძეს თუ თვითონ ვითხრა, ძირითადში არ დაგაყენებო?

— თვითონ მითხრა, გადაწყვეტილია, ორივე თამაშში სათადარიგო იქნებო. ვიმეორებ, ასეთ რამეს მწვრთნელი მეუბნება დანიასთან მატჩამდე ათი დღით ადრე. ამის შემდეგ რაღაზეა ლაპარაკი...
— დარსაძე შეცვლაზე თამაშს მაინც თუ შეგპირდა?

— ერთია, როცა შენზე ძლიერი თამაშობს და ჯანდაბას, იტყვი, რომ ძირითადისთვის ჯერ მომწვივებულე არ ხარ; მეორეა, როცა ნაკრების ძირითადში მოხვედრას იმსახურებს, ამას თვალნათლივ ხედავ და უსამართლოდ იჩაგრები.
— ყველანაირი ასპექტით დღევანდელი საქართველოს ნაკრების ძირითადში ნაღდად მეკუთვნის ადგილი. კლუბში სისტემატიურად თამაშში, გამოცდილება, ნაკრების ბოლო მატჩებში შედეგიანობა და სტატისტიკა — მგონი, სწორედ ამით უნდა იჩიოდეს შემადგენლობა. ასე არაა?!

— როგორ შეატყვევებ, დარსაძე ყაზახეთთან შენი თამაშით ხომ არ დარჩა უკმაყოფილო? კონკრეტული მიზეზი არ უთქვამს?

— ეს თავად დარსაძეს უნდა ჰკითხოთ. არც მე, არც სხვა რომელიმე ფეხბურთელს და მილიანად ნაკრებს ყაზახეთში მაგრად არ გვითამაშა. დარსაძე ჩემით უკმაყოფილოც რომც დარჩენილიყო, ერთი მატჩით არ უნდა ფასდებოდეს ფეხბურთელი. მერწმუნეთ, მწვრთნელს რომ ეთქვა, მხოლოდ უკრაინასთან ვერ დაგაყენებ ძირითადშიო, მეწყინებოდა, მაგრამ მაინც გაგებით მოვეკიდებოდი. დარსაძე კი ათი დღით ადრე უკვე დანიასთან იგნორირებაზე მელაპარაკებოდა...
— როგორ გგონია, დარსაძეს ნაკრებში შენ ჩამოსვლამდეც ხომ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ არ გათამაშებდა? თუ ვარჯიშებზე არ მოეწონებ?

— ჩამოსვლამდეც გადაწყვეტილი ჰქონდა. ფორმაში როგორ არ ვიყავი, როცა მეორე ბუნდესლიგის განვლილი სამი ტურიდან ორჯერ სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდი. გერმანიაში ეს როგორი „იოლია“, ყველამ იცის...
— ნაკრების ფეხბურთელებმა რა ვითხრეს — არ უცდიათ, შენსა და დარსაძეს შორის ურთიერთობა მოეგვარებინათ?

— რა თქმა უნდა, თითქმის ყველა ფეხბურთელი მელაპარაკა და ვითარება რომ აეუხსენი, არავის გაუშტყუნებია. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ბიჭები თავიანთ აზრს არ დამალავდნენ და მეტყობდნენ, რომ არასწორად ვიქცეოდი. ერთს ვიტყვი: ცხოვრებაში ისეთი რამ არასოდეს გამიკეთებია, რომ ვინმესთვის თვალბრუნებში შეხედვისა შემრცხვებ. აქეთ შერცხვებ... ჩემთვის დიდი შეუბა იყო, რომ ნაკრების ფეხბურთელებმა მომიხმინეს და ჩემს გადაწყვეტილებასაც გაგებით მოეკიდნენ.

— გაიოზ დარსაძესთან ადრეც ხომ არ გქონია უთანხმოება?
— არანაირი. ერთ დროს მის გაწვრთნილ 16-წლამდელთა ნაკრებში ვთამაშობდი.
— ნაკრების უკრაინასთან თამაშში ნახე და დანიასთან კატასტროფული წაგების ამბავსაც გაიგებდი. არაკორექტულად თუ არ ჩათვლი, როგორ შეაფასებ გუნდის თამაშს?

— დანიასთან მატჩის ფრაგმენტებს ვუყურებ. რა უნდა ეთქვა, ასეთი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები 1:6-ს არ უნდა აგებდეს. ძალიან მეწყინა, გამწარებული ვიყავი.
— დარსაძემ სამ მატჩში გაწვრთნა ნაკრები. როგორ ატყობ, ალენ ჟირესის მოხსნის შემდეგ უკეთესობისკენ შეიცვალა რამე?

— თუ გახსოვთ, ჩემი აზრი ჟირესის მოხსნისთანავე გამოვთქვი.

შესარჩევი ციკლი კარგად დაიწყეთ და საბერძნეთთან ორ წუთში გაშვებულმა ორმა გოლმა დაველუპა. ეს წაგებები მარტო ჟირესის ბრალი არ იყო, ფეხბურთელებმაც დავაკლავთ რაღაც. დარსაძესა და ჟირესს ერთმანეთს არ ვადარებ, უბრალოდ, ჩემს წყენას ვერ ვფარავ. ის ფორმა და მიდგომა, რაც დარსაძისგან დავინახე, არანაირად არ ჯდება სამწვრთნელი ეთიკაში. საკმაოდ თვითკრიტიკული ვარ და ვიცი, როდისაა ჩემი ადვილი ნაკრების ძირითადში და როდის არა.
— „ფრაიბურგში“ როგორ შეხვდნენ შენს ამბავს?

— გაუკვირდათ, მაგრამ როცა საქმის ვითარება აეუხსენი, ყველამ გამამართლა. აქ მშვენივრად იციან, რომ არც უხააკი პირიქეზე ვარ და არც დისციპლინას ვარღვევ. იცით, უცნაური რა არის? არც ერთ უცხოელ მწვრთნელთან ცხოვრებაში უთანხმოება არ მომსვლია და ქართველთან მომივიდა. არადა, თითქოს პირიქით უყვრო უნდა იყოს...
— ორიოდ სიტყვით შენს საკლუბო ამბებზეც ვთქვათ. სეზონი ნორმალურად დაიწყო და ალბათ ბუნდესლიგაში გადასვლაც რეალურია...

— პოტენციული გვაქვს, ეს ფაქტია. სამეულში რომ შევიდეთ, ორ მატჩში ოთხი ქულა მაინც უნდა ავიღოთ. ახლა სამ ტურში ექვსი ქულა გვაქვს და ნელ-ნელა კოფა მოვუმატებთ.
— გერმანიის თასის პირველ ეტაპზე „ზიგენი“ შენი გოლით დაამარცხეთ. მეორე ეტაპზე ვის ხვდებით?

— შინ „ბრაუნშვაიგს“. რაც უფრო წინ წავალთ, მით უკეთესი. თასი ისეთი რამაა, არ არის გამორიცხული, მეორე ბუნდესლიგის გუნდმაც აიღოს.
— ბოლოს მთავარს შეგეკითხები: ეგებ დარსაძემ გადაიფიქროს და ოქტომბრის მატჩებისთვის გამოვიძახოს. ჩამოხვალ ნაკრებში?

— ნაკრებისთვის თავი არასოდეს დამიზოვავს. ჩამოვალ და ვითამაშებ. თღონდ მწვრთნელისგან ასეთ მიდგომას ვერასოდეს შეეგუები, ჩემი გამაიმუნების უფლებას არავის მივცემ. ვიცი, ბევრი იფიქრებს, დანიასთან სამარცხიონო მარცხის შემდეგ ლაპარაკის საბაბი მიეცათ, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არაა. ზოგი იტყვის, თავში აუუარდა რაღაც-რაღაცები და ნაკრებიდან იმიტომ წავიდაო — ძალიან არ მინდა, ხალხმა ასე იფიქროს...
ილია ნანოგაფილი

საქართველოს

www.pfl.ge

ინეპო (თბილისი) **ლოკომოტივი (თბილისი)**

14 სექტემბერი 2005 **დასაწყისი 16:00**

ფანი: 3 ახი

ბათუმის ანთხაილი სტადიონი

პატრონი: **საქართველოს ანთხაილი**

სპონსორები: **საქართველოს ბანკი**, **საქართველოს ანთხაილი**, **საქართველოს ანთხაილი**

საინფორმაციო მხარეები: **საქართველოს ანთხაილი**, **საქართველოს ანთხაილი**, **საქართველოს ანთხაილი**

მხარის მხარეები: **საქართველოს ანთხაილი**, **საქართველოს ანთხაილი**, **საქართველოს ანთხაილი**

ფეხბურთელთა წინასამართლო მოთელვა ბათოღური რეკომენდაციები

ბურთით ნელ ტემპში მუშაობა, რომელიც არაფრით ჰკავს სათამაშო სიტუაციებს, ხელს არ უწყობს მატჩისათვის ფეხბურთელის მომზადების ბოლო ეტაპის ფორსირებას.

მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელების გულის შეკუმშვათა სიხშირე დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ფუნქციონალური მზადყოფნის თვალსაზრისით ისინი არ არიან მზად სათამაშოსთვის. როგორც წესი, მოთელვის დასასრულს გულის შეკუმშვათა სიხშირე არ აღემატება 120-130 დარტყმას წუთში. ცნობილია, რომ დაბალი ინტენსივობის დატვირთვა (130 დარტყმამდე წუთში) არ იწვევს აერობული უნარების პროცესების არსებით გაძლიერებას, რაც ასე მნიშვნელოვანია კუნთების ენერგეტიკული ნივთიერებებით მოსამარაგებლად (ა. მეტზნევი, კ. როდაზოლი, ვ. ისეკუსტი). ფეხბურთისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია აერობული მექანიზმებით კუნთური მოქმედების უზრუნველყოფა. თამაშის დაწყების პირველსავე წუთებიდანვე ფეხბურთელის გულის შეკუმშვათა რიცხვი წუთში 160-180 დარტყმას ბუნებრივია, რომ ასეთი შეუსაბამო მოთელვასა და თამაშს შორის ნიშნავს იმას, რომ მოთელვა ფაქტურად თამაშის მსვლელობისას გრძელდება.

ი. მოროზოვის გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით ჩაწერილი მატჩების 85 პროცენტში თამაშის დასაწყისში ტექნიკური მოქმედებების შესრულებისას შეცდომათა მაღალი მაჩვენებელი — 65 პროცენტი დაფიქსირდა. ანალოგიურ სურათს ჰქონდა ადგილი 15-17 წუთის განმავლობაში. შემდგომში ტექნიკური ხერხების ეფექტურობა უმჯობესდება 45 პროცენტამდე და იწყება ერთგვარი სტაბილიზაციის პერიოდი. შესრულებული ტექნიკური ხერხების საერთო რაოდენობის ზრდა პირველი ტაიმის განმავლობაში ფიქსირდებოდა 3-წუთიან მონაკვეთებში (პირველი 15 წუთის მანძილზე საშუალოდ ყოველ 3 წუთში გუნდები ასრულებდნენ 21, 8 ტექნიკურ ხერხს, მეორე 15 წუთში — 23,6 და ტაიმის უკანასკნელ 15-წუთიან მონაკვეთში — 24,75-ს) აშკარად მიგვიანიშნებს სათამაშო მოქმედებათა გაუმჯობესების ტენდენციას. ეს მონაცემები შეესაბამება გ. გაგაევასა და ბ. ნიოკოვის მიერ ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგებს.

ამგვარად, დაკვირვებების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დღეს პრაქტიკაში დანერგული წინასამართლო მოთელვა ნაკლებად ეფექტურია და ფეხბურთელებს უკვე თამაშის პროცესში საშუალოდ კიდევ 25-27 წუთი სჭირდებათ იმ ეფექტის მისაღწევად, რისთვისაც ტარდება წინასამართლო მოთელვა.

მუშაობაში ჩართვის პერიოდისა და ტრავმების რაოდენობის შესამცირებლად აუცილებელია მოთელვის ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმების ძიება. მოთელვის საერთო ნაწილი ნაწილის დიფერენციალურად დატვირთვას უზრუნველყოფს, რაც დაკავშირებულია ფეხბურთელის დამახასიათებელ თვისებებთან, რაც დაკავშირებულია ფეხბურთელის დამახასიათებელ თვისებებთან, რაც დაკავშირებულია ფეხბურთელის დამახასიათებელ თვისებებთან.

გადართვის სისწრაფე წინადადებს ცნობილია, რომ ფეხბურთელთა სათამაშო მოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული კოორდინაციულ შესაძლებლობათა გამოვლინებასთან. ფეხბურთელები თამაშის პროცესში ასრულებენ მრავალრიცხოვან მოძრაობით მოქმედებებს განსხვავებული საწყისი პოზიციებიდან დროისა და სივრცის დეფინიციის პირობებში. იმისათვის, რომ მოთამაშე მოეზადოს რთული კოორდინაციული მუშაობისათვის, აუცილებელია სამოძრაო აპარატის ადეკვატური მოქმედება, რადგან მოძრაობის ფაზების სწრაფი ცვლადობისას ფეხბურთში უკუკავშირები აუმჯობესებენ ან ინარჩუნებენ შემდგომი მოძრაობების პროგრესირების მაღალ დონეს (ნ. ბერნტენი, პ. ანოზინი, რ. ჰერსონი, ლ. ჩხაიძე და სხვები).

ბუნებრივია, არ შეიძლება ფეხბურთელის მატჩისთვის მზადყოფნაზე ლაპარაკი, თუ ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების გამოვლინებაში არ მიაღწია ოპტიმალურ დონეს. ასეთივე მომზადების შემდეგ ხდება ფსიქიკური პროცესების სრულყოფა. შეგრძნებები, აღქმები, მოძრაობითი რეაქციები მიმდინარეობს უფრო სწრაფად, ზუსტად და სრულყოფილად, აუმჯობესებს გარემო პირობებში ორიენტირების უნარს, ამაღლებს შემოქმედებით შესაძლებლობებს, ტაქტიკურ აზროვნებას (ა. პუნი).

ამრიგად, ლიტერატურული წყაროების შესწავლის, სპეციალისტების მოსაზრებებისა და დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეჯობებისათვის ფეხბურთელის მომზადებისათვის ყველაზე მისაღები ფორმა — ხანმოკლე, ორმხრივი თამაშია.

მოთელვის სპეციალური ნაწილი გულისხმობს 10-წუთიან თამაშს — 5X5-ზე ნახევარ მოედანზე პატარა კარებით, ან ე.წ. „კვადრატს“. მოთელვა მთავრდება 3-5 წუთიანი ვარჯიშით ბურთთან ერთად ნელ ტემპში — ასეთი მუშაობის შემდეგ არ მცირდება ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობა, რაც აადვილებს მოთელვიდან თამაშზე გადასვლას (ბ. თავართქილაძე, ვ. ზაციორსკი).

მოთელვის საერთო ხანგრძლივობა 20-25 წუთს შეადგენს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინასამართლო მოთელვა შემდეგი სქემის სახეს მიიღებს:

1. დინამიური ვარჯიშები, რომლებიც მიმართულია ფეხის კუნთების გასახურებლად;
 2. ვარჯიშები ფეხის კუნთების გაწვლვებზე;
 3. რბენითი ვარჯიშების სერია;
 4. სათამაშო ვარჯიშები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფეხბურთელის მომზადებას მატჩისთვის.
- ზემო შემოთავაზებული წინასამართლო მოთელვის სქემის პრაქტიკაში დანერგვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტივებით გამოყენება მნიშვნელოვანწილად ამაღლებს წინასამართლო მომზადების ეფექტურობას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის უფროსი მასწავლებლები
თინათინ რატიანი
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი
თამაზ ჯაფარიძე

საპროტოკოლოს 17 რაიონი

პირველი 17 რაიონი

საპროტოკოლოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

4 ტური



ამერელმა გიორგი დავითნიძემ „მესხეთს“ გამოანაბრებელი გაუტანა

პირველი ლიგა გაგრძელდა

ზრამბის ტური იყო პირველ ლიგაში — შეიძინა მატჩიდან ხუთი „მესხელობიანი“ ანგარიშით დასრულდა, აქედან სამში კი გოლი არ გასულა.

პირველი ტურები დაკარგა „ამერი 2“-მა, რომელიც „მესხეთთან“ ჯერ აგებდა, შემდეგ გიორგი დავითნიძისა და ბესიკ ჩიმაკაძის გოლებით იგებდა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. პირველ ტაიმში კი ამერელთა ფორვარდ დიმიტრი ტატიანაშვილს გოლი არ ჩაუთვალეს.

ლუბა თალაგვაძე

ზუბდიდი 0:0 გურია
მუხანბე 0:0 რიხუა
მესხეთი 2:2 ამერი 2
ზახაფორი 2:0 ლოკომოტი 2
ლიახვი 3:2 მალაროლი
საპარაჯო 0:0 მერანი
თბილისი 2:1 გავრა
ხვალ
დინამო 2 - რუსთავი
მუხანბე - ვიზ ჯორჯია 2

ამერი 2	4	3	1	0	6:2	10
ლოკომოტი 2	4	3	0	1	4:1	9
მერანი	4	2	2	0	5:2	8
მესხეთი	3	2	1	0	5:3	7
რუსთავი	3	2	1	0	4:2	7
საპარაჯო	4	2	1	1	4:3	7
დინამო 2	3	2	0	1	10:2	6
მუხანბე	4	1	2	1	7:3	5
ზახაფორი	4	1	2	1	1:2	5
გურია	4	1	1	2	10:7	4
რიხუა	2	1	1	0	5:2	4
ვიზ ჯორჯია 2	3	1	1	1	4:4	4
ლიახვი	4	1	0	3	5:9	3
გავრა	4	0	3	1	1:3	3
მუხანბე	3	0	2	1	1:2	2
თბილისი 2	4	0	1	3	4:12	1
მალაროლი	4	0	1	3	2:11	1
ზახაფორი 2	3	0	0	3	0:8	0

ყველა გზამ რობუი მიიყვანა



გიგმაი ანტონიო კასანო

რამდენადაც „რომასთან“ დაკავშირებული წყაროებიდან გახდა ცნობილი, ანტონიო კასანო კლუბთან ხელშეკრულების განახლების პირასაა. ბევრჯერ გვითქვამს, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ამ ადამიან-რეპუსის არსებული კონტრაქტი 2006 წელს იწურება და თუ ვალოროსიმ ახლავე არ იღონა რაიმე, კასანო თავისუფალი აგენტის სტატუსით სადაც მოეპოვება იქ წავა, რაშიც, ცხადია, რომასთვის არანაირი ხეირი არ არის.

შეგახსენებთ ასევე, რომ კასანოს შეძენა ძალიან სურდა იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსს“, მაგრამ ვაკრობა, რომელმაც საბოლოოდ მომაბეზრებელი სახე მიიღო, წარუმატებლად დასრულდა. შესაბამისად კასანო „რომას“ შერჩა და კლუბიც დადგა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ სხვა გამოსავალი მოეძებნა. არჩევანი კი დიდი ადარ დარჩა: ერთი, რომ კასანო ვერ შემოირიგონ და გაბუტულს უგზავნონ ხელფასი, რის გამოც მოთამაშეს ოსტატობა დაუქვეითდება და შესაბამისად ფასიც შემცირდება და მეორე, რადაცებზე თვალი დახუჭონ, კასანო შემოირიგონ, ათამაშონ და მომავალში სარფიანად გაყიდონ.


ერთი სიტყვით, კასანოს აგენტი გუბუე ბოცი და „რომას“ წარმომადგენლები უკვე მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, რის შემდეგაც გავერცელდა განცხადება:

„კლუბი „რომა“ და ბოცი ადას-

ტურებენ, რომ მოლაპარაკებები, რომლებშიც როსელა სენსი და ანტონიო კასანოც მონაწილეობდნენ, დასრულდა შეთანხმებით — მხარეები კონტრაქტს გაახანგრძლივებენ. მოთამაშის სურვილი, დარჩეს „რომაში“ კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში, კლუბმა სიამოვნებით მოისმინა. ორივე მხარეს აქვს სურს შეთანხმება და საამისოდ უახლოეს დღეებში კიდევ ერთხელ შეხვედებიან“

აქ, უნდა ითქვას, რომ მხარეებმა ერთი ხნის წინაც სცადეს საერთო ენის გამონახვა, მაგრამ ფეხბურთელი ხელფასად მეტს ითხოვდა, ვიდრე კლუბი სთავაზობდა. მაშ, ახლაც რის საფუძველზე ჩავსახათ მხარეებს ზემოთ მოტანილი იმედი? ზუსტად ცხადია არ ვიცით, მაგრამ ჭორების თანახმად კასანომ დააკლო. მოკლედ, თუ ყველაფერი ისე წავა, როგორც მხარეები იმედოვნებენ, სულაც არ არის, გამორიცხული კვირას „უდინეზესთან“ კასანო ისევ საქმეში ვიხილოთ.

ბაკუნა კელია



ჩეზარე ბოცი სულთი რომელია

ტევესი ძალაუბრის წინააღმდეგ

ბრაზილიური „კორინთიანსის“ არგენტინელმა მოიერიშემ კარლოს ტევესმა მანდილოსანი არბიტრების წინააღმდეგ გაილაშქრა. საქმე ის გახლავთ, რომ იქაურ პირველობაზე ქალი მსაჯების ხილვა უკვე ხშირად შეიძლება, რაც კარლიტოს ფრიად არ მოსწონს: „ქალები ძალიან მიყვარს, უფრო მეტიც, მათ ვაღებურთებ, მაგრამ იქნებ აჯობებდა, ჩემპიონატის როულ თამაშებში მაინც ქალი არბიტრების მინდორზე შემუშვებისგან თავი შევიკავოთ? სტადიონზე ამ დროს ვოჯოხონეთი ტრიბუნებს ხოლმე და არბიტრის ფორმაში გამოწყობილ სენიორიტებსაც სწორი გადაწყვეტილების მიღება ძალიან უჭირთ...“


კარლიტოს უმკაცროფლება კი ანა პაულა და ოლივიერამ და მარია ელიზა ბარბოსამ გამოიწვიეს. ეს ორი ბრაზილიელი „სენიორიტა“ „სან პაულუ“ — „კორინთიანსის“ ჯახში მატჩის მთავარ მსაჯს, ედი-

ლსონ პერეირას ეხმარებოდა. ხსენებული შეხვედრა ტევესის გუნდმა 3:2 წააგო, არგენტინელი ფორვარდი კი ქალების ფეხბურთში არაკომპეტენტურობას უჩივის: „გვერდითმა მსაჯებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს. პირადად მე მოედანზე გაცილებით უკეთ ვგრძობ თავს, როცა შეხვედრას მამაკაცთა ბრიგადა სჯის...“

გარდა ამისა, ტევესმა კიდევ ერთი რამით მიიპყრო ყურადღება — იგი პრესკონფერენციაზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორმით მივიდა...

კარლოს ტევესი: „ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ „კორინთიანსის“ დატოვებაზე. რაც შეეხება „მანჩესტერის“ ფორმას, თქვენ გაოცებას ვერ ვივებ და ვერც რაიმე პრობლემას ვხედავ კლუბის შეურაცხყოფა არაფერ შუაშია, უბრალოდ ეს მაისურა მომწონს და ამიტომაც მაცვია“.

ლადო ხომერიკი



კარლოს ტევესი



ჩეზარე ბოცი

საპილიაში ოლივიერა დედოქოს ბიჭი გახდა

„ამბისის“ ბრაზილიელი რიკარდო ოლივიერა თანაქლაქელ „სევილიას“ მცველთა უხეშობამ გააბრაზა. ამასწინათ „სევილიას“ „სენტენარიოს“ ანუ კლუბის ასი წლის-თავისაღმდეგ მიმდინილი ფიესტა ჰქონდა და ზემის დასამშვენებლად ამხანაგურ თამაშში ხუანდო რამოსის კლუბმა მეტოქედ ბრაზილიის ნაკრები მიიწვია. მატჩის საბოლოო შედეგი 1:1 გახლდათ, ხოლო სტუმართა თავდასხმული ოლივიერა (რომელიც ამავდროულად „სევილიას“ „მოსისხლე მტრის“ „ბეტისის“ ფორვარდიცაა) „სანჩეს პისხუანის“ გუნდის მცველებმა მუჯღუგუნებით გააწამეს.

„ასეთი ბოროტება სხვაგან არსად არ მინახავს. თამაში თითქოს ამხანაგური იყო, მაგრამ ბურთის რომ შევეხებოდი, „სევილიას“ უკანაზელები ცდილობდნენ, ჩემთვის ფეხი მოეტხათ. ლორენს სერა ფერერი, „ბეტი-

სის“ დამრიგებელი, მატჩამდე სევილიელთა ღირსებაზე დაკვირვებულა, თუმც ასეთ რადაცას ნამდვილად არ ველოდი“ — გაღანდა ხუანდო რამოსის შევირდები ოლივიერამ

ემოციური ბრაზილიელის გამოხტომას კი აიტორ ოსიო, ექსპანდბაოელი და „სევილიას“ ამჟამინდელი მცველი გამოეხმაურა: „ოლივიერა უსინდისო მანტაქისტია. თამაშების დამთავრებისთანავე უკრნალისტეობთან მიბრბის და მიღებულ ტრაგედიზე სახალხოდ ტირის ხოლმე ბრაზილიასთან მატჩის შემდეგ მეხლი ისე მქონდა გასიებული, გასახდელში ბიჭები შედრწუნდნენ. როგორც იქნებოდა, მე რომ პრესასთან მივევირა, მეტოქე უხეშა და მიხდორზე ჩემი მოკვლა უნდოდა-მოქოქ? ფეხბურთის მამაკაცები თამაშობენ და არა დედოქოს ბიჭები“ — დაძობიერა სევილიელმა ბეტისელი.

ლადო ხომერიკი

მანიშე არ მოიგოდიშებს

მოსკოვის „დინამოს“ ლევიონერმა მანიშე რიბეირუმ ერთი კვირის წინ თავებლი იწყეულა, რა მიხდოდა რუსეთში, აქაურობა არ მოიწონს და ვერ შევევუო.

პორტუგალიელის ნათქვამი რუსებმა შეურაცხყოფად მიიღეს, მაგრამ მანიშემ გუმინ განმარტა: „აღბათ ნებისმიერი ადამიანისთვის ვისაჯება, რომ ოჯახისგან მოწყვეტილი ფეხბურთელისთვის უცხო ქვეყანაში ეიფნა ძნელია. ცოლ-შვილი მომენტარა და ამიტომ დაევიწილე. წარმოსიღვიწიო, შვილი მირეკავს და მეკითხება, „მამა, როდის დაბრუნდები?“ გარდა ამისა, გულახდლიად გეტყვით, რომ „დინამო“ ცუდ ვითარებაშია, მე კი ისეთ გუნდებში ვთამაშობდი, რომლებიც ვიღილეებს იგებდნენ. რუსეთის შეურაცხყოფა არც მიფიქრია და არც „დინამო“ გამიღანდავს, მით უმეტეს, რომ კლუბის პატრონ ალექსეი ფედორიჩევიან კარგი ურთიერთობა მქვს. სწორედ მან გამოჩარხა ეს ტრანსფერი. ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, აღბათ გაიგებენ ჩემს გულისტკივილს და მეგობრები დამეხმარებიან სარეილის გადალახვაში. „დინამოსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ერთად უნდა შევეცადოთ, რომ მომავალში უკეთეს შედეგს მივაღწიოთ“.

ბაკუნა ხუციშვილი

დიდება რვენ?!



AFP მონტაჟი

ლუკა ტონი ბელარუსში გატანილ გოლს ზეიმობს

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპი ბელარუსის 4:1 დამარცხებით გამოწვეული აღტაცების გაგრილება სცადა. „კმაყოფილი ნამდვილად ვარ, მაგრამ ჩვენ ბრაზილიასთან ან რომელიმე სხვა ნაკრებთან შედარებას

მოვერიდებოდი. ვიმეორებ, შოტლანდიასთან და ბელარუსთან ნანახი მომეწონა. მგონი ჩვენს გარდა მე-5 შესარჩევ ჯგუფში, კარგ ფორმაში ამწუთას შოტლანდიაა. საერთოდაც, შემძლია ვთქვა, რომ ამ ორმა თამაშმა იმდენივე მოგვცა, რამდენსაც

ერთიანი შეკრება, მოგვეცადა“ — განაცხადა ტაქტიკოსმა, რომელმაც შემდეგ დასძინა, რომ ძალიან კმაყოფილი დარჩა ფრანჩესკო ტოტის თამაშით. კერძოდ, მან ბრძანა: „ვფიქრობ იტალიის ნაკრებში ტოტის ასე კარგად არასდროს უთამაშია. დიდებული იყო ტონი. მან მხოლოდ გოლები კი არ გაიტანა, როდესაც მარცხენა მცველი შეტევაში მიდიოდა, მთელ ფრთას აზღვევდა“ „ფიორენტინაში“ „პალერმოდან“ ახალმა გადასულმა ლუკა ტონიმ, მართლაც მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. „ხშირად მითქვამს, რომ ფეხბურთში საჩუქრად არასდროს არაფერი მიმიღია. რაც ამ სახეობაში ხდება, ყველაფერი ბედისწერაა. ამიტომაც არ მივტოვებ არაფერს და არ მგონია, რომ უკეთესი ბედი მეკუთვნოდა. რაც შეეხება ბელარუსში გადახდენილს, ეს ფანტასტიკური იყო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ემოციები უნდა მოვთოკო“ — განაცხადა ტონიმ

აპუნა კელია

დიდოს კმელი სივარული უბეზს



ნაპოლეონი კრისტინა სინაგრა თავის ყოფილ მიჯნურს, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას დიეგო მარადონას ისევ უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს. მცირე ხნის წინ სენიორა სინაგრამ ექსსატრფო ტელევიზიაში გამოთქმული როყო სიტყვებისთვის საკეყენოდ შეაჩვენა (მაშინ დიეგომ „კანალ 13“-ის ეთერში პირდაპირ თქვა — კრისტინასგან შვილი არასდროს მყოლია და 19 წლის დიეგო არმანდო ჯუნიორის მამობას მე ტყუილად ნუ დამაბრალებთ). „5 წელია, მარადონასგან გროშიც კი არ მიველია. ის წყეული კლაუდია (ვარსკლავის ყოფილი მეუღლე) დიეგოს როგორც უნდა, ისე ატრიალებს. დარწმუნებული ვარ, სწორედ მან ურჩია, ჩემი შვილისთვის სარჩო შეწყეიტა“ — აცხადებს განრისხებული კრისტინა სინაგრა. როგორც ხედავთ, სიტუაციას დაღხინებული არ ეთქმის, თუმც ზოგიერთი აპენინურ გაზეთს თუ დაუუჯერებთ, ქალბატონმა სინაგრამ მოხერხებული დრო შეარჩია — მალე დიეგო იტალიური STAR TV-ს სტუმარი იქნება და პროგრამაში მონაწილეობისთვის 150 მილიონ ევროს მიიღებს. მავანთა აზრით, დიეგო ჯუნიორის დედა ამ თანხაზე ნადირობს. „ეგ კლაუდია ვილაფანეს მიერ ნაყიდი ჟურნალისტების მონაწილახია. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, დიეგოს ჩვენი ბიჭისთვის 150 მილიონ ევროზე გაცილებით მეტი აქვს მისაცემი“ — ბობოქრობდა კრისტინა სინაგრა არგენტინულ „კლარინთან“ ინტერვიუში...

ლადო ხომერიკი

თავ დამსხმელი

კამერუნელი თავდამსხმელი, „ბარსელონას“ ვარსკლავი სამუელ ეტო გუშინ მთელი დამით საავადმყოფოში დაიტოვეს. მიზეზი: ვარჯიშისას თანაგუნდელს, დამია აბელას თავით საშინლად შეასკდა. ეპიზოდის შემსწრეებს თავიდან არ ეგონათ ეტო ასე იოლად თუ გამოვიდოდა მდგომარეობიდან. საბედნიეროდ, გაირკვა, რომ კამერუნელს გონება არ დაუკარგავს, მაგრამ თავიზე იარა დარჩება. ეტო სასწრაფოდ გაატანეს უახლოეს საავადმყოფოში, სადაც დაუყოვნებლივ ჩაუტარეს სკანირება, სხვა დაწვრილებითი გამოკვლევები და ყველაზე ცუდი ეჭვები მაშინვე გაფანტეს. და მაინც, როგორც „ბარსას“ ეკიმმა ხილ როდამა განაცხადა, თავდამსხმელისთვის ამ დილითაც უნდა ჩატარებინათ განმეორებითი ტესტი, რის შემდეგაც, სავარაუდოდ მას გამოწერდნენ. ბარსელონა ხვალ შინ, „რეალ მალიორკას“ მასპინძლობს.

აპუნა კელია

ბაბრაზდი, ჯიბრილო!

ჯიბრილ სისემ აგვისტოს ბოლოს შეიტყო, გაყიდვას მიპირებენო და სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდა, ცსკა-სთან სუპერთასზეც კარგად ითამაშა და გასულ კვირას ორი სანაკრებო გოლიც მითვალა. რაფაელ ბენიტესმა აღიარა, სისეს ტრანსფერზე საუბარი მის გასაბრაზებლად მოვიგონეო. „სატრანსფერო ფანჯრის დახურვისას ბევრ ფეხბურთელს „ეძინება“, რადგან ფიქრობს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული

ლი აქვს. სისეს უკეთესად თამაში შეუძლია და გოლის გატანაც არ ესწავლება. როგორც მწვრთნელს მსურს, რომ ფეხბურთელი გაბრაზდეს, როცა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. მე გავესაუბრები ყველა მოთამაშეს და არა მხოლოდ სისეს. მან ფარერებთან დუბლი შეასრულა და გუნდშიც ასე თუ ითამაშებს, კმაყოფილი ვიქნები“ — თქვა ბენიტესმა.

გაგა ხუციშვილი

მასსროსა



საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი

ირლანდიასთან მატჩის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ნაკრების მწვრთნელ რაიმონდ ლომენეკს პოსპიტილიდან დაურეკა და სთხოვა, „მარსელიოზას“ შესრულებისას ფეხბურთელებმა გულზე ხელი დაიდონ ავადმყოფი პრეზიდენტის მხარდასაჭერად. ფეხბურთელებმა დანაბარები შეასრულეს და მატჩიც მოიგეს, მაგრამ გაირკვა, რომ ის, ვინც ლომენეკს დაურეკა, შირაკი არ ყოფილა. მწვრთნელ-მოთამაშეები ერთ-ერთმა ფრანგულმა რადიოსადგურმა გაამასხარავა. მავანი მსახიობი ლომენეკს პრეზიდენტის ხმით ესაუბრა და გააბითურა. ეს ამბავი „გასკდა“, ხოლო ფრანგთა მეკარე გრეგორი კუპე გაბრაზდა, ავადმყოფი კაცის, მით უმეტეს, პრეზიდენტის ასე ავადება უწესობალო.

გაგა ხუციშვილი



ასე გააშაყირეს საფრანგეთის ნაკრები


საფრანგეთი	
II ლივიზიონი VII ტური	
აზიანი	შატორუ
კრეტეი	6 4 2 0 14:4 14
ბასტია	6 3 2 1 9:5 11
ლორიანი	6 3 2 1 9:6 11
შატორუ	7 3 2 2 8:6 11
სელანი	6 3 2 1 7:5 11
გრენობლი	6 3 1 2 4:6 10
ისტრი	6 2 3 1 6:5 9
ბრესტი	6 2 3 1 7:7 9
გენიონი	6 2 3 1 4:4 9
ვალანსი	6 3 0 3 6:7 9
ამიენი	7 2 2 3 9:8 8
კლერმონი	6 2 2 2 3:5 8
რეიმსი	6 2 1 3 4:4 7
გენგამი	6 1 4 1 4:4 7
მონპელიე	6 2 1 3 7:0 7
ლავალი	6 2 0 4 5:7 6
დიუნი	6 1 2 3 4:6 5
ლე ავრი	6 1 2 3 7:11 5
კაენი	6 1 1 4 5:8 4
სეტე	6 0 3 3 3:7 3

ფინეთი	
პეიკასულიგა. XXII ტური	
ალიანსი 2:3 ტურკუ	
მიუბა	20 13 5 2 37:13 44
პიე	20 11 7 2 36:20 40
ჰააკა	21 8 11 2 34:16 35
ინტერი	18 9 6 3 26:9 33
ტამპერე	18 9 6 3 27:16 33
ლაჰტი	22 9 4 9 34:34 31
ალიანსი	21 6 10 5 26:32 28
კტუ	21 7 6 8 31:36 27
ტურკუ	21 7 4 10 24:31 25
კუოპიო	21 6 4 11 23:37 22
იარო	21 5 6 10 17:24 21
მარიეჰამნი	20 5 5 10 21:29 20
როვანიემი	21 3 7 11 18:41 16
ტპ 47	21 3 3 15 16:32 12

რეკლამა
სარბიელ-ში
 Tel: 39 40 08, 93 16 08;
 Fax: 94 33 80

US OPEN 2005

ეზუა «ქაქონ» დაბრუნდა



ლეიტონ ჰიუიტმა კიდევ ერთხელ შესძახა...

გაიბრუნდა

ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 2:6 6:1 3:6 6:3 6:1; როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — დავიდ ნალბანდიანი (11, არგენტინა) 6:2 6:4 6:1

ლეიტონ ჰიუიტმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ ამერიკის დიაპირველობა მის ფავორიტ შეჯიბრებათაგან ერთ-ერთია — იარკო ნიემინენთან პირველი და მესამე სეტში წააგო, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებული დარჩა და ზედიზედ მეორე წელიწადს გავიდა ნახევარფინალში. ჰიუიტს, რომელმაც აქ 2001 წელს გაიმარჯვა, შარშან კი ფინალში ვივიდა, ცაცია ფინელმა სერიოზულად გაურთულა საქმე. განსაკუთრებით თვალმისაცემი გახლდათ დაბნეულობა, რომელიც ჰიუიტს შესაძლო სეტის შემდეგ დაეტყვის თითქოს, ახლა რაღა უნდა გვეთქვინა, არ იცოდა, მაგრამ მეოთხეში თავის ჩაწოდებებზე იყონდა, სხვა შეცდომებიც მაქსიმალურად შეამცირა და შედეგი მიიღო — არტურ ემის სახელობის კორტზე მისი საფინალი შემახილი „ქაქონ“ დაბრუნდა.

ნიემინენი: ჩვეულებრივ, ის ამ სიტყვას ყვირის ხოლმე და თავიდან ამიტომ ვიყავი გაოცებული. კიდევ იმან გამოცა, რომ ჰიუიტი დაჯერებული არ ჩანდა, საოცრად თავშეკავებული გახლდათ. აღბათ, მა-

სზე იმანაც იმოქმედა, რომ პირველი სეტი მე მოვიგე, თუმცა შემდეგ შევატყე, რომ თავი ხელში აიყვანა და მდგომარეობა გამოასწორა.“

ხოლო თავად ნიემინენმა ბოლო სეტში კვრ შეძლო თავის ხელში აიყვანა, ძალების მოკრება და შედეგად დაუშვა ის ათი შეცდომა, რომელიც, შეიძლება, რომ არ დაეშვა.

ჰიუიტმა კი მეთვრამეტე და მარჯვ კუთხით შეხვედრამი. „დღეს მართლაც არეულ-დარეული მატჩი გამოვიდა. — თქვა საპრესკონფერენციო დარბაზში შესულმა, — ნიემინენს უნდოდა მშვიდი თამაში წასულიყო და ამ სიტუაციის ფონზე თავისი შანსები გამოეჭირა. კიდევ, შევატყე, რომ ზოგჯერ ეპიზოდში, როდესაც მე აგრესიულ თამაშზე გადავიდი, ის პასუხს კარგად აწყობდა, ხოლო ამ ყველაფერმა, ერთად აღებული, მე ამრია და დაცვაზე მეტი ფიქრისკენ მიმიძღა“

ამ გამარჯვებამ მოიტანა ის, რომ ლეიტონ ჰიუიტის მეტოქედ, ნახევარფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, როჯერ ფედერერი შეიქნა. ფედერერმა მეოთხედფინალურ მატჩში დავიდ ნალბანდიანს სამ სეტში სძლია და კიდევ ერთხელ გახდა თვალნათელი, ამჟამად მას ბადალი ძნელად თუ მოეძებნება. ამ გამარჯვების შემდეგ ფედერერს

არგენტინელთან უკვე ბოლო სამი შეხვედრა აქვს მოგებული.

„ძალიან კმაყოფილი ვაჩნდები, ვინაიდან თავად დავინახე, რომ კარგად ვითამაშე, — თქვა გამარჯვების შემდეგ ფედერერმა. საერთოდ, ამ შეჯიბრებაში ყველაფერი კარგად გამომდის“.

მას მერე, რაც რუსმა ელენა დემენტიევამ ერთეულთა მეოთხედფინალურ შეხვედრაში ამერიკელი ლინდსი დევენპორტი სენსაციურად დაამარცხა, წყვილთა თანრიგშიც წარმატება იხიმა და ფინალში გავიდა. დემენტიევამ იტალიელ ფლავიო პენეტისთან ერთად სძლია ანა-ლენა გრონიფელდს (გერმანია) — მარტინა ნავრატელოვას (აშშ) „დეუტს“.

მარტინა ნავრატელოვას ოქტომბერში 49 წელი შეუსრულდება და მან ერთეულებში გამოსვლის კარიერა კარგა ხანია, რაც დაამთავრა, მაგრამ წყვილთა თანრიგში კვლავც სარბილზეა. იქ ნავრატელოვა ისეთ ახალგაზრდა სპორტსმენებთან ერთად იბრძვის, რომლებიც მას შეილაღ კი არა, ლამის შეილიშვილებად ერგება. მაგალითად, ამას წინათ მისი პარტნიორი 17 წლის რუსი სვეტლანა კუზნეცოვა იყო.

ასე იყო თუ ისე, ნავრატელოვა გრონიფელდთან ერთად ამ ტურნირზე მეშვიდე ნომრად განთესეს მაშინ, როცა დემენტიევა და პენეტი მხოლოდ მეოთხედფინალი იყვნენ, მაგრამ წყვილთა თანრიგში ხომ ასეთი იერარქია მეტად პირობითია. ჰოდა, აი, ამ წყვილებში გამარჯვება რუსულიტალიურ „დეუტს“ დარჩა (6:2 6:4).


ახლა დემენტიევა და პენეტი წყვილთა თანრიგის ფინალში ამერიკელ ლიზა რეიომნდისა და ავსტრალიელ სამანტა სტოსურის წყვილს შეხვდებიან, რომლებმაც, თავის მხრივ, ესპანურ კონჩიტა მარტინესისა და ველხინია რუანი პასკუალის „დეუტს“ სძლიეს.

დღეს, თბილისის დროით გამთენიისას, გაიმართა ქალთა ნახევარფინალური შეხვედრები. რუსი მარია შარაპოვა ბელგიელ კიმ კლაისტერსს ზედებოდა, ხოლო ელენა დემენტიევა ფრანგ მარი პირსს.

ასე რომ, შესაძლოა ამ შეხვედრების შემდეგ, ისე როგორც შარშან, რუსული ფინალი ვიხილოთ.



XVI მარაპო ბელგიის დიდპრიზი სპა-ფრანკორტეში 11 სექტემბერი



ბრასის სიგრძე 6.973 კმ რკოლის დისტანცია 44 წრე — 306.812 კმ

ბოლო დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე

შარშან: 1 რაიკონენი (მაკლარენი); 2 მ.შუმახერი (ფერარი); 3 ბარიკლო (ფერარი); 4 მასა (ზაუბერი); 5 ფიზიკელა (ზაუბერი); 6 კლიენი (იაგუარი); 7 კულჰარდი (მაკლარენი); 8 პანი (ტიოტა) წრის რეკორდი: 2004 — რაიკონენი 1:45,108 (238,8კმ/სთ)

სპა ალონსოს ზეობაა?

სპა ევგე სეზონის უმთავრესი ამბავი — ჩემპიონის ვინაობა გაირკვეს. საამისოდ ესპანელმა ფერნანდო ალონსომ ერთადერთ კონკურენტ კიმი რაიკონენზე ოთხი ქულით მეტი უნდა მოინაგროს სპა-ფრანკორტეში ლეგენდარულ ტრეკზე.



გუშინ პირველ ცდაზე საუკეთესო კიმი რაიკონენი იყო

ბელგიაში რბოლის შემდეგ მეფორმულები ევროპას დატოვებენ. დარჩენილ სამ ეტაპს ისინი ბრაზილიაში, იაპონიაში და ჩინეთში ჩაიქროლებენ. ამიტომ ალონსოს, ბუნებრივია, სურს რომ ტიტული სპაზე გაინაღდოს, სადაც გაცილებით ბევრი თანამემამულე ჩაემაის საქომადოდ, ვიდრე ოკეანის გადაღმა სან პაულუმში. მით უმეტეს, როგორც ნანდო ამბოზს, სპა მისი საყვარელი ტრასაა. თუმცა იმასაც არ მალავს, რომ ბელგიაში გაიმეპონება სათუთა.

„ტიტულის ბელგიაში მოგება მეტად რთული იქნება. საამისოდ რაიკონენის გამოთიშვაა საჭირო, მაგრამ არა მგონია, ეს მოხდეს. „მაკლარენის“ პილოტები ხომ ბელგიის გრან პრის ფავორიტებად ითვლებიან. და მინც, ცხადია, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ წარმატების მისაღწევად, ქულეები კი მოდით, რბოლის მერე დავთვავოთ.“

ესპანელის სიფრთხილე გასაგებია, შარშან ბელგიის დიდი პრიზი ხომ სწორედ რაიკონენმა მოიგო, თავად კი ფინიშმდე ვერ მიადწია.

ისე, ბრიტანელი ბუქმეიკერებიც იმავე აზრზე არიან, მაკლარენელების — კიმი რაიკონენისა და ხუან-პაბლო მონტოას შანსებს ყველაზე მაღლა აყენებენ. ალონსო მესამეა — ოთხი ერთთან კუშით.

ცნობისთვის, უდასგმა „წითელმა ბარონმა“ მიხაელ შუმხერმა შარშან მეშვიდე საჩემპიონო გვირგვინი სწორედ იქ, „სპა-ფრანკორტეში“ გაინაღდა. და საერთოდაც, ეს შუმის ტრასად ითვლება — 1991 წელს იქ შედგა მისი საფორმული დებიუტი „ჯორდანის“ გუნდში, ერთი წლის თავზე იქვე მოიგო თავისი პირველი დიდი პრი-

ზი, სულ კი სარეკორდო, ექვსი ბელგიური მოგება აქვს. თუმცა ეს ყველაფერი უკვე ისტორიაა — ადრე თუ გვიან ცუდიც და კარგიც მთავრდება, მათ შორის „ფერარის“ ზედიზედ ექვსსეზონიანი სუპერეპოქაც და სკუდერელებს მომავალი წლიდან თავიდან მოუწყვთ საგვირგვინო ბრძოლის დაწყება.

გასულ კვირას იტალიის დიდი პრიზის მოგებით მონტოა ათი ქულით წამოეწია „მონტაზე“ სამარცხვინო, მეათე ადგილზე ჩარჩენილ შუმხერს და რაკი მონტის „მაკი“ ჩემპიონის „ფერარიზე“ აშკარად სწრაფია, იქნებ საბრძოლო მესამე ადგილიც წაართვას.

გუშინ პირველ თავისუფალ პრაქტიკისას საუკეთესო დრო რაიკონენის „მაკლარენმა“ დააფიქსირა. საერთოდ, წლებადელი გართულებული რევლამენტის გამო თითქმის ყველა მრბოლი ერიდება ძრავ-საბურავების ზედმეტად დატვირთვას. კიმი მხოლოდ ხუთჯერ შემოუქროლა ყველაზე გრძელ, შეიდელომეტრიან საფორმულ ვრცეს, ალონსოს და მონტოას კი თითოჯერაც არ შემოუბრუნიათ.

მეორე ცდა თავსხმის გამო არ შედგა.

გია ახალაძე




მარია შარაპოვა



ელენა დემენტიევა

პაველ დაცოუკი ხუთი მილიონი ესკოტაზე



პაველ დაცოუკი

ნჰლ-ის ჩემპიონატი ჯერ არ დანყებულა, მაგრამ ლიგა უკვე პირველ დანაკლისებს განიცდის. „დეტროიტის“ წამყვანმა ჰოკეისტმა და ახალი თაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა პაველ დაცოუკმა ყველასთვის მოულოდნელად ჩრდილოეთ ამერიკას რუსეთი ამჯობინა. ის, რომ ჰოკეისტის მოლაპარაკება თავის კლუბთან საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა, დიდხანს იყო ცნობილი, მაგრამ ასეთ ფინალს არავინ ელოდა. როგორც ირკვევა, მთავარი დაბრკოლება ახალი კონტრაქტის ფინანსური მხარე გახდა. დაცოუკმა გუნდის მიერ შემოთავაზებული 5 მილიონიანი კონტრაქტი არ მიიღო, ვინაიდან, როგორც მინიმუმ, ერთი მოლიონით მეტს ითხოვდა

„**კვიპროზი**, მე ვიშვებებ პიტლის და ტორტონის დონის კონტრაქტს“ - უთხრა დაცოუკმა რუსული მედიის წარმომადგენელთ. საინტერესოა, რომ დაცოუკის საკონტრაქტო კოლიზიებმა თვით რუსეთშიც დიდი აურზაური გამოიწვია. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად საუბარი მოსკოვის „დინამოში“ დაიწყო, მაგრამ მთავარი მიზეზი იყო, რომ დაცოუკმა იასპარეზა ლოკაუტის დროს. მაგრამ ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ცენტრფორვარდმა ოსკის „ავა-

ნგარდი“ ირჩია, ვინაიდან იქ მას უკეთესი პირობები შესთავაზეს ამის შემდეგ პრესაში აზრი გამოითქვა, რომ შესაძლოა „დინამო“ სასამართლოს მიმართოს დაცოუკის კონტრაქტის უკანონობის დამტკიცების მიზნით, მაგრამ შემდგომში ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. დაცოუკის კონტრაქტი ოსკთან ერთწლიანია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებაში სეზონის მსვლელობისას მისი ნჰლ-ში დაბრუნებაცაა გათვალისწინებული. ოღონდ საამისოდ „დეტრო-

იტის“ მესვეურთა მეტი ხელგამ-ლილობა იქნება საჭირო.

დაციუკთან განსხვავებით კი ალექსანდრ კოროლიუკმა წლეულს ნჰლ-ში დაბრუნების ყველა შანსი ამოწურა. 2003-04 სეზონში „სან-ხოსეში“ თავის კარგად გამოჩენის შემდეგ მოსალოდნელი იყო მისი კლუბთან ურთიერთობის გახანგრძლივება, მაგრამ კოროლიუკმა რუსეთში დარჩენა ამჯობინა და ეს პირადი მიზეზებით ახსნა.

„ეს არ არის ჩვენთვის მოულოდნელი, და პირადად მე პატივს ვცემ ალექსის გადაწყვეტილებას“ — თქვა „სან-ხოსეს“ გენერალურმა მენეჯერმა ლუგ უილსონმა. მოგახსენებთ, რომ ლოკაუტის დროს კოროლიუკი რუსეთის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა, რომელიც სუპერლიგის შემდეგ ღონით მეორეა ქვეყანაში.

ბოლო დღეების სხვა მოვლენებისგან შეიძლება გამოიყოს „პიტსბურგის“ მორიგი საკადრო ცვლილება, რომელმაც გააძლიერა დაცვა 37-ი წლის საიმედო მცველით ლაილ ოდელინით.

საინტერესოა ასევე „მონრეალის“ და მისი მთავარი საყრდენის, გოლიკუპერის ფოზე თეოდორის საბოლოოდ დასრულებული საკონტრაქტო დავა, რომლის შედეგად მეკარემ 3-წლიანი და 16-მილიონიანი ხელშეკრულება გაინაღდა.

როგორც ამბობენ, უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს ორი სახელიანი ჰოკეისტის ბედიც. აქედან ერთი ვეტერანი სკოტ სტივენსია, რომელიც უკვე ვერანაირად ვერ დარჩება „ნიუ-ჯერსიში“, რადგან კლუბი ვეღარ ეტევა სახელფასო ზღვარში, მაგრამ მისი შემენით სერიოზულად „სან-ხოსეა“ დაინტერესებული, „სლოვაკ მსროლელს“ პეტერ ბონდრას კი სურს „ვამინგტონში“ დარჩენა, მაგრამ ვერ აღწევს შეთანხმებას გუნდის მფლობელებთან. მის მიმართ ინტერესს „ფილადელფია“ და „ატლანტა“ ამჟღავნებენ.

საგზაო ღარიბიანი




ალესანდრო პეტაჯი

ლენს პრესტრონგის არაღილი ვუელტაზე

ესპანეთის გზებზე „ვუელტას“ ველორბოლის მეთორმეტე ეტაპი გაიმართა. ლეგონიო ბურხოსის 148-კილომეტრიან მონაკვეთზე ყველას აჯობა იტალიელმა ალესანდრო პეტაჯიმ (ფასა ბერტოლო). რაიკლმაც დისტანცია 3 საათში, 13 წუთსა და 31 წამში დაფარა. მეორე იყო გერმანელი ერიკ ზაბელი (ტ. მობილი), ხოლო მესამე — მარკო ვანოცი (ლაბუტა-ბასი). შეჯიბრების ლიდერი რუსი დენის მენშოვი (რაბო ბანკი, მაროადა) მათე იყო, მაგრამ საერთო ჩათვლაში იგი კვლავინდებურად დადგინდა თუმცა, ამ შეჯიბრების შედეგებზე მეტად ახლა უფრო საუბრობენ „ვუელტაზე ფრანსის“ შეიგზის გამარჯვებულ, ამერიკელ ლენს არმსტრონგზე.

მოგეხსენებათ, მან თავისი მეშვიდე ტრიუმფის შემდეგ ველორბოლაში მიატოვა, მაგრამ რამდენიმე დღის წინაშე სარბიელზე დაბრუნების თაობაზე ჩამოაგდო სიტყვა. მისი სიტყვები დიდი ენთუზიაზმით მაილდ „ვუელტას“ დირექტორმა ვიქტორ კორდერომ, რომელმაც აიტაცა ლუგენდარული სპორტსმენის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ „ვუელტაზე ფრანსის“ მსოფლიოს ერთადერთი ველორბოლა არ არის.

„მე არ მინდა, რომ კომენტარი გაუკეთოს იმას, რაც ჯერ კიდევ ბოლომდე ნათელი არ არის, მაგრამ, თუ, არმსტრონგი გადაწყვიტს სვეხს ველორბოლაში მონაწილეობას, ეს უბრალოდ ფანტასტიკური იქნებოდა რატომაც არ შეიძლება, რომ არმსტრონგმა ერთდროულად წლის ორ ველორბოლაში მიიღოს მონაწილეობა“, — თქვა ვიქტორ კორდერომ.



მეთორმეტე ეტაპი. 7 სექტემბერი. ლეგონიო	ბურხოსი. 148 კმ
ალესანდრო პეტაჯი (იტალია, ფასა ბერტოლო)	3 სთ. 13 წთ. 38 წმ
საერთო ჩათვლა	
1 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	48 სთ. 21 წთ. 11 წმ
2 რობერტო პერასი (ესპანეთი, ლიბერტე სეგუროსი)	-47 წმ
3 ფრანსისკო მანსეო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	-1 წთ. 53 წმ

ინგლისი
I ლიგა VIII ტური
ბრანფორდი 2:2 ბრაფორდი
იტალია
სერიას B III ტური
ავალინო 2:5 ბრეზა
გერმანია
II ბუნდესლიგა IV ტური
ალეზანია 4:0 ზაარბრიუკენი
ბურგაუზენი II უნტერჰაინი
მიუნხენი 1:2 დინამო დრ.
ჩრდილოეთი რეგიონალლიგა VIII ტური
ოსნაბრიუკი 2:2 კარლ ცაისი
სამხრეთ რეგიონალლიგა VI ტური
ალანი 0:2 ელვერსჰაიმი
ფულდორფი 0:3 ჰოფენაიმი
ლაუბარნი (მ) 4:0 ეზორნი
ბრირი II ბაიერთი
ჩეხეთი
გაგაბინსლიგა V ტური
ბრნო II ოსტრავა

საფრანგეთი
II დივიზიონი VII ტური
სატი II კაენი
ვალენსიანი 2:1 მონელი
სადანი 2:1 ბრანოლი
ისტრი II დიჟონი
ბანგაზი 0:0 ბანიონი
კარბი 0:0 ბრანტი
კლარმონი 0:3 ლორიანი
რეიზი 0:2 ლე ავრი
პორტუგალია
სუპერლიგა III ტური
გიზარაზი — ბრაზა გუან დამაჟურა
ავსტრია
II დივიზიონი X ტური
ლაუზანი 1:2 ლინცარი
კუპფინი 2:1 კაფენაბრი
აუსტრია (მ) 2:1 აუსტრია (ლ)
ალტაზი II კარნთინი
ზვანენბაიმი 1:2 ბრატკორნი
სლოვაკეთი
ლიგა VIII ტური
პიტრეჟა 3:0 ბრანონი

ჰოლანდია
პრემიერლიგა IV ტური
ვალევიკი 2:0 როდა
II დივიზიონი VII ტური
ფორდრესტი 0:1 ავალდორნი
ბრაფსხაპი 2:1 ვსვ (მ)
ეფენი 3:0 კაგუნი
პარკლინი 0:0 ემსელსიორი
ალმარი 0:5 ვინლო
პელდორნი 3:0 ფორტუნა
ოსი II ტალსტარი
ვოლენდაში II ვინდარი
ირლანდია
პრემიერლიგა XXIV ტური
უოტერფორდი 2:2 კარასი
კორკი 3:0 ბრი
დარი 3:1 ლონდონი
შემოკი 0:2 შელბორნი
სტ. პატრიკი 0:1 ბოკინიანი
დუბლინი 2:2 დროუდა
უგანდა
პრემიერლიგა IX ტური
კონკორია 2:1 ლუბანი
ვოლენი 0:4 ვინდარტუნი



ბელგიის დიდი პრიზი

ჩამოდგა ბელგიის დიდი პრიზის დროც: მეფორმულენი ბრიუსელში იყრიან თავს. უკვე ვილნევი ავტოგრაფებს აეროპორტშივე არიგებს, ჯანკარლო ფიზიკელა ინტერვიუს არ ზარდება, ხუან პაბლო მონტოია კი

ცოლ-შვილთან ერთად საბაჟო კონტროლის სწრაფად გავლას ცდილობს. სპა-ფრანკორშამის საჯინბოებში კი საბურავთა საქმის შეფი პიერ დუპასკიე „ბინოკლს“ იშველიებს, ამდენხანს სად არიანო.



ნასული პრეზენტაცია

ტურ დე ფრანსის შედეგების მომგები ველომეფე ლენს არმსტრონგი მეხიკომია და ბურთსაც ურტყამს. სპორტიდან ახალწასულ არმსტრონგს ფრანგებმა წასვლა ჩაუშვარეს: დომინგში დასდეს ბრალი, ლენსმა კი მათ „უბრალოდ შურიანები“ უწოდა.

საბოლოო ზეიმი

ამერიკის მეგობრულთა ნაკრებმა ევროპელებს სძლია ინდიანაში და მინეჯუნთორ სოლოპეიმის თასი დაისაკუთრა. გამარჯვებულებმა აუზში იზეიმეს. პირველი კაპიტანი კოლინ უოუკერი გადახტა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამომცემი: ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი: ზურაბ შიშხაშვილი
ლიტერატორი: გიორგი მარტოქაძე
მთავარი რედაქტორი: ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი: თამაზ შიშხაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი: აპოლონი გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნახიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი,
ვახტანგ დარჯიანი, ვიქტორია ვაშაძე, სოსო კოტორიძე,
ლადო ხიმშიაშვილი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შიშხაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაჟაშვილი, ლევან კლავუაძე,
თორნიკე კვიციანი, ირაკლი პეტრია
ფოტორეპორტიორები: გურამ დილეჩავაძე, მადრა კვიციანი,
სტილისტები: ნათელა გორგოძიანი, ლალი გოხლიაშვილი,
კომპიუტერული ცენტრი: ლია მესელიანი, ხათუნა მუხომეძე,
ელენე ველუაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალაშვილი,
მაცია დივრეშვილი, ზვიად მისიაშვილი, თეგვიზ ფოფხაძე,
თამარ ქანჭავაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყავაშვილის გამზომი 42, II
კორპუსი, IV სართული
საზოგადოებრივი მისამართი
თბილისი - 79, საზოგადოებრივი
ქუჩი 208, ტელეფონი: 39 48 27
ელფოსტის მისამართი: sarbieli@gol.ge
ელფოსტის მისამართი: sarbieli@gol.ge
ელფოსტის მისამართი: sarbieli@gol.ge
<http://www.sarbieli.com.ge>